პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 134 (10220) | ოთხშაბათი, 8 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

7 ივნისს მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები.

ცენტრალური აეროდრომი მორთულია საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით.

18.00 საათია. თვითმფრინავი დაეშვა. თვითმფრინავიდან გამოდიან ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე მ. ა. ჰუსეინი.

სტუმრებს ხვდებიან ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ვ. პ. ელიუტინი, გ. კ. ჟუკოვი, მ. დ. კოვრიგინა, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, პ. ი. პარშინი, დ. ი. რაიზერი, ნ. ს. რიჟოვი, ა. გ. შერემეტიევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარიოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა მოადგილენი ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ვ. მაცკევიჩი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოადგილე პოლკოვნიკი ა. ტ. ვერეშჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, დედაქალაქის საზოგადო მოღვაწენი, პრესის წარმომადგენელნი. აქვე არიან ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი. ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შესახვედრად მოვიდნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები. სულ აეროდრომზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა 300-მდე კაცი.

მოსკოველმა პიონერებმა ყვავილების ვეებერთელა თაიგულები მიართვეს სტუმრებს. ჯავაჰარლალ ნერუმ, ინდირა განდიმ გულითადი მადლობა უძღვნეს ბავშვებს ყვავილებისათვის. სსრ კავშირში ინდოეთის საელჩოს თანამშრომელთა ბავშვებმა ყვავილები მიართვეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინსა და ჯავაჰარლალ ნერუს.

ზეიმურად ეღერს ინდოეთის რესპუბლიკის ჰიმნი. შემდეგ გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული მელოდია. ნ. ა. ბულგანინმა და ჯავაჰარლალ ნერუმ ჩაუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს წინ.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ მიდის მიკროფონთან და ამბობს შემდეგ სიტყვას:

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა

დიდი ხანია მინდოდა ჩამოვსულიყავი აქ, საბჭოთა კავშირში. დიდი ხანია მინდოდა ჩამოვსულიყავი აქ ამ ცნობილ და შესანიშნავ ქალაქში. დღეს ეს სურვილი შემისრულდა. ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოვედი. მე თავს ვთვლი მოგზაურად, ჩამოვედი აქ როგორც მოგზაური, რომელსაც აქვს საუკეთესო სურვილები თქვენი მთავრობის, თქვენი ხალხის მიმართ. მე ჩამოვედი აქ, რათა უკეთ და უფრო მეტად გაგიცნოთ თქვენ. და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი აქ ჩამოსვლა განამტკიცებს ჩვენს ურთიერთობას. ჩემი გულთბილი მეგობრული მიღებისათვის მადლობას გიძღვნით.

★ ★ ★

დამსწრენი მხურვალედ უკრავენ ტაშს ჯავაჰარლალ ნერუს.

მოყავთ მანქანები. პირველში ჩასხდნენ ჯავაჰარლალ ნერუ და ნ. ა. ბულგანინი, მეორეში — ინდირა განდი, ქალბატონი მენონი, მ. დ. კოვრიგინა და ბ. ნ. მენშიკოვა, მესამეში — ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, მეოთხეში — ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე მ. ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში მ. ა. მენშიკოვი. შემდეგ მანქანებში ჩასხდნენ ჯ. ნერუს თანმხლები სხვა პირები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი.

სტუმრები ავტომანქანებით ტოვებენ აეროდრომის ფარგლებს, მიემართებიან შენობისაკენ, რომელიც განკუთვნილია ჯ. ნერუს რეზიდენციად მოსკოვში. მათ მხურვალედ მიესალმებიან დედაქალაქის ათიათასობით მშრომელნი, რომლებიც დგანან ლენინგრადის გზატკეცილის ორივე მხარეს. გაისმის შეძახილები, რომლებითაც უსურვებენ გამარჯვებას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მზარდ მეგობრობას, კეთილდღეობას — ინდოეთის ხალხს, წარმატებას — მშვიდობის საქმეს.

გორკის ქუჩაც ხალხით გაჭედილია. ბევრს თან აქვს ყვავილები. გორკის მთელ ქუჩაზე გამოკიდულია უზარმაზარი ტილოები წარწერით:

— სალამი პრემიერ-მინისტრ ნერუს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

მანქანების კოლონა განაგრძობს გზას. ყველგან მოსკოვის ქუჩებში დედაქალაქის მშრომელნი მხურვალედ მიესალმებიან ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს, მის თანმხლებ პირებს, გამოხატავენ რა ღრმა სიმპათიას ინდოელი ხალხისადმი, თავიანთ მისწრაფებას, რომ კიდევ უფრო მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ხალხებს შორის. წამდაუწუმ ქუჩების სხვადასხვა კუთხეში ინდოელი სტუმრების მსვლელობის მთელ გზაზე გაისმოდა ათიათასობით ადამიანის მჭუხარე მეგობრული ტაში, მისასალმებელი შეძახილები, რომლებითაც გამოთქვამდნენ გულწრფელ კეთილ სურვილებს, ბედნიერებას, კეთილდღეობას უსურვებდნენ ინდოელ ხალხს, გამარჯვებას უსურვებდნენ საყოველთაო მშვიდობას. (საკდესი).

პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ პრაღიდან მოსკოვს გამოემგზავრა

პრაღა, 7 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, რომელიც საბჭოთა კავშირში მიმავალი ესტუმრა ჩეხოსლოვაკიას, პრაღიდან მოსკოვს გაემგზავრა.

აეროდრომზე პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ გააცილეს ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ვ. შიროკიმ, პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ იაროსლავ დოლანსკიმ, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ვაცლავ კოპეცკიმ და ლუდმილა იანკოვცოვამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ დავიდმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხვა წევრებმა.

პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ გააცილეს აგრეთვე საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა ელჩის ნ. პ. ფირიუბინის მეთაურობით, ინდოეთის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში დ. ვირამ და საელჩოს თანამშრომლებმა, პრაღაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა და წევრებმა.

ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

ვილიამ შიროკიმ მოკლე სიტყვით მიმართა ჯ. ნერუს. საპასუხო სიტყვაში ჯ. ნერუმ მადლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას გულთბილი და გულითადი შეხვედრისათვის პრაღაში.

პრაღიდან ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს მოსკოვამდე აცილებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. მოლოჩკოვი.

გაშკირი ხალხის შემოქმედების დათვალიერება

გაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საბოლოო კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში

მოსკოვის სცენაზე ათ დღეს იმართებოდა ბაშკირეთის თეატრების სპექტაკლები და მუსიკალური კოლექტივების გამოსვლები, რომლებსაც დედაქალაქის მშრომელებს გააცნეს ბაშკირეთის ასსრ დრამატული, საოპერო და სიმღერა-ცეკვის ხელოვნების მიღწევები. კლუბებსა და კულტურის სასახლეებში ეწყობოდა გულთბილი, მეგობრული შეხვედრები მოძმე ხალხის წარმოგზავნილებთან. ასი ათასამდე მოსკოველი დაესწრო ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების სპექტაკლებს, კონცერტებსა და საღამოებს.

6 ივნისს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიმართა ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საბოლოო კონცერტი. დარბაზში არიან მოსკოვის საწარმოთა მოწინავეები, კულტურის მოღვაწეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ოფიცრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აგრეთვე მრავალი უცხოელი სტუმარი.

დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში, რომელიც მორთულია ბაშკირული ფერადი ორნამენტით, აღმართულია საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმები. პორტალზეა გამოსახულება ლენინის ორდენისა — მაღალი ჯილდოსი, რომელიც ბაშკირეთის ასს რესპუბლიკას მიეკუთვნა. აქეთ-იქით არის სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო გერბები. კონცერტს ბიკულოვისა და რაშაზანოვის სიტყვებზე კომპოზიტორ მურთაზინის მიერ დაწერილი „სიმღერით პარტიაზე“ იწყებს ნაკრები გუნდი ბაშკირეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, ბაშკირეთის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებისა და ქალაქ იშიმბაის ბრიგადის მონაწილეობის მონაწილეობით. გუნდი აღფრთოვანებით ასრულებს, სანიტოვის სიმღერას „სალამი მოსკოვს“. ზეიმოვნად ეღერს ისმაგილოვის ოპერა „სალავათ იულაევის“ უვერტიურა, რომელსაც ასრულებს ბაშკირეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი.

რუსეთის სფსრ და ბაშკირეთის ასსრ დამსახურებულმა მსახიობმა ა. მუბარაკოვმა აღფროთოვანებით წაიკითხა ყარიმის ლექსი „მე რუსეთელი ვარ“. დამსწრენი ხანგრძლივი და მჭუხარე ტაშით ადიღლოდნენ ამ ლექსის შესრულებას, რომელიც ასახავს რუსეთის ფედერაციის ხალხთა განუყოფელ ძმურ მეგობრობას.

ბაშკირეთის ხალხური ცეკვის დაუშრეტელი სიმდიდრე ცხადყვეს რესპუბლიკის ცეკვის კოლექტივებმა. მაყურებლები ერთსულოვნად უკრავდნენ ტაშს ბაშკირეთის ასსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის მსახიობებს. ანსამბლმა აჩვენა სიცოცხლით აღსავსე ცეკვა „გულნაზარი“ (ბაშკირეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ფ. გასკაროვის დადგმა).

მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტი მ. სალიგასკაროვა, რომელმაც შეასრულა დალილას არია სენ-სანსის ოპერა „სამსონ და დალილადან“.

დამსახურებული წარმატება ხვდა წილად ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ბაშკირეთის განყოფილების მოწაფეს ე. სულეიმანოვას, რომელმაც მშვენივრად იცეკვა ლიულის „გავოტი“.

დიდი ვოკალური ოსტატობა ცხადყო რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მსახიობმა და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა გ. ჰამიტულინმა, რომელმაც შეასრულა ბაშკირული ხალხური სიმღერა „აზამათი“ და ყარიმოვის სიმღერა „ჰეი, ჩამოუარე, ნათლიდედაგ“.

დიდი გამომეტყველებით შეასრულა ბაშკირული ხალხური ცეკვა „ბიშმარმაკი“ ბაშკირეთის ასსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის სოლისტმა ზ. აიუპოვამ.

დიდი თეატრის დარბაზში ეღერს გულში ჩამწვდომი სიმღერა „სალავათი“, რომელიც მიძღვნილია ბაშკირი ხალხის ეროვნული გმირისადმი. მას მღერის რესპუბლიკის მაკაროვისა და უჩალის რაიონების სასოფლო გუნდი. იგი ასრულებს აგრეთვე თანამედროვე ხალხურ სიმღერას „მაკარი“, რომელშიც შექებულია მშობლიური მხარის სილამაზე და სიმდიდრე. გულში ჩამწვდომად გაისმა ტანჰილუს არია ზაიმოვისა და სპადავეკას ოპერიდან „აკბუზათი“, რომელიც შეასრულა რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა ბ. ვალეევამ.

გლაზუნოვის ვალსი შეასრულა ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ბაშკირეთის განყოფილების მოსწავლეთა ჯგუფმა (რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ნ. ანისიმოვას ხელმძღვანელობით).

ნშვენივრად მღერის რუსულ ხალხურ სიმღერას „კლდე“ ყალაქ ჩერნიკოვსკის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი ა. ბუჯაინი.

საყოველთაო აპლოდისმენტებით გამოიწვია ნ. ანისიმოვას დადგმულმა ლ. სტეპანოვის ბალეტის „წერის სიმღერიდან“ დიდმა ადაჟიომ, რომელიც შეასრულეს ბაშკირეთის ოპერის თეატრის სოლისტებმა და ბალეტის ანსამბლმა. დიდი პოეტურობით განასახიერეს ეროვნული ლეგენდის გმირები რუსეთის სფსრ და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა ზ. ნასრეტდინოვამ და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა ხ. საფიულინმა, ბალეტის სოლისტებმა ნ. ვალეტოვამ, ლ. მედვედევამ, მ. ტაგიროვამ, გ. ტოსიანსკაიამ და სხვებმა. მაყურებლებმა ისინი მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს.

რესპუბლიკაში კლასიკური საგუნდო ხელოვნების ნიჭიერი პოპულარიზატორია ბაშკირეთის სახელმწიფო ფილარმონიის გუნდი (ხელმძღვანელი ბაშკირეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ტიხომიროვი).

გუნდმა დიდი ოსტატობით, შწყობრად, შეხმატკბილებულად შეასრულა კონცერტში გაბატონებული ბაშკირული სიმღერა „პოემა ურალზე“ ხალხური ტექსტით, შეხალინის ნაწარმოები „ზამთრის გზა“ და ხალხური სიმღერა კუტუზოვზე, რომელიც ბაშკირმა ცხენოსნებმა გამოთქვეს 1812 წლის სამამული ომის წლებში.

სალავათის არია ისმაგილოვის ოპერა „სალავათ იულაევიდან“ და რუსული ხალხური სიმღერა „მთელი მსოფლიო შემმოვლია“ წარმატებით იმღერა ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა მ. ჰისმატულინმა.

მაღალი შემსრულებლობითი კულტურა ცხადყვეს ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა გ. სულეიმანოვამ, ბაშკირეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ფ. სათაროვამ, სოლისტებმა ნ. ვალტოვამ, მ. ტაგიროვამ და სხვებმა სცენაში კრეინის ბალეტ „ლაურენსიადან“ (ახალგაზრდა ბალეტმეისტერ ვ. პიარის დადგმა).

დიდი გრძნობით შეასრულა მეომრის არიოზო ჩაიკოვსკის კანტატა „მოსკოვიდან“ ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა მ. აპმეტზიანოვამ, რომელსაც მშვენიერი ვოკალური მონაცემები აქვს.

მაყურებლის გულთბილი სიმპათია გამოიწვია ბაშკირულმა სიმღერამ „წაღლამ“. ეს სიმღერა შეასრულა რუსეთის სფსრ და ბაშკირეთის ასსრ დამსახურებულმა მსახიობმა ხ. გალიმოვამ ბაშკირული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტის „კურაიის“ თანხლებით, რომელსაც ოსტატურად უკრავდა ბაშკირეთის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. სულეიმანოვი.

დახვეწილი ოსტატობა გვიჩვენა ხალხური ცეკვის ანსამბლის ქალთა ჯგუფმა ცეკვაში „შვიდი ქალაშვილი“.

მაღალი ვოკალური კულტურა ცხადყო რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტმა ა. სუტიაგინმა, რომელმაც იმღერა ფრადკინის სიმღერა „სტალინგრადი“ და რიხერტის არიოზო ჩაიკოვსკის ოპერიდან „იოლანტა“.

მშვენიერი სანახავი იყო ხალხური დღესასწაულის „სანანტუის“ წარმოდგენა. დიდი თეატრის სცენა გადაიქცა თითქოს უზარმაზარ მოედნად, რომელიც მოზეიმე ხალხით აივსო. ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში მოსახლე ხალხთა მკაფიო ფერების სხვადასხვანაირი ტანსაცმელი. აი სცენაზე გამოდიან მოჭიდაველები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმარჯვესა და ღონეში, ზედიზედ გამოდიან მოცეკვავენი. ეროვნული კოლორიტული სხვადასხვა ცეკვით გვიჩვენებენ შემსრულებლები რესპუბლიკის შესანიშნავ ხალხურ ხელოვნებას. კონცერტის დამსწრეებმა ნახეს ბაშკირული ცეკვა: ავზიან-პეტროვსკის კადრილი (ბაშკირეთის ასსრ ბელორეცკის რაიონის სოფელ ავზიანის მოცეკვავეთა კოლექტივი), „ზაგიდა“ (ბაშკირეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ტ. ჰუდაიბერდინა), ფრინველთა გალობის იმიტაცია (უჩალის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პრავდის“ კოლმეურნე ტ. მუჰამადიევი), თათრული ცეკვა „შომბასი“ (ბაშკირეთის ასსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის სოლისტები ფ. ქარიმოვი და რ. ბატრეტდინოვი), „სამი ძმა“ (ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტი მ. იდრისოვი, ბაშკირეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ა. ფაჰრეტდინოვი, ზ. ისმაგილოვი), „ზარიფა“ (ბაშკირეთის ასსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი).

საღამესასწაული კონცერტი, რომელიც ცხადყო ბაშკირეთის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება, მთავრდება კომპოზიტორ აბმეტოვის და პოეტ ქარიმის „გამოსათხოვარი სიმღერით“, რომელიც კონცერტის ყველა მონაწილემ შეასრულა.

დიდებულად იძვრის დეკორაციული პანორამა, რომელიც გამოსახავს ბაშკირეთის ასსრ პეიზაჟს. მწვანე საკოლმეურნეო ყანებისა და ლურჯი ცის ფონზე მაყურებელთა თვალწინ ჩნდებიან ნავთობის კოშკურების, ფაბრიკებისა და ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურების კაშხალების სილუეტები.

ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საბოლოო კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა.

კონცერტის პროგრამას ხელმძღვანელობდა რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტი ზ. ბიტულატოვი. კონცერტის რეჟისორი იყო რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. თუმანოვი, მუსიკალური ხელმძღვანელი — ყირგიზეთის სსრ სახალხო არტისტი ვ. ცელიკოვსკი. კონცერტი გაფორმა რუსეთის სფსრ და ბაშკირეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. არსლანოვმა, დირიჟორობდნენ გ. მეტალოვი, ნ. სანიტოვი, ა. კოვალსკი, შ. იბრაჰიმოვი.

კონცერტს დასწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. ზ. ზაგაფუროვანოვი, ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. გ. ნაბიულინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ს. დ. იგნატიევი. კონცერტს დასწრნენ აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ პუზანოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. მ. ზუეევა და სხვები.

(საკდესი).

ДЕКЕША

მის უდიდებულესობას ჰოკონ VII-ს

ნორვეგიის მეფეს

ოსლო

ნორვეგიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავის გამო გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ პირადად ჩემგან და საბჭოთა კავშირის ხალხებისაგან გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

ნორვეგიელი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი მუდამ ჰპოვებდა თანაგრძნობას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ სსრ კავშირისა და ნორვეგიის კეთილი ურთიერთობის განმტკიცება შეესაბამება ორივე ქვეყნის გულწრფელ სურვილებს.

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

გარდაბნის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმები

გარდაბნის რაიონმა ვადაზე ადრე, 1 ივნისისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმები: ხორცისა — 100,5 პროცენტით, რძისა — 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 102,6 პროცენტით და მატყლისა — 115,1 პროცენტით.

ნერუს განცხადება კაიროში

კაირო, 6 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება, 5 ივნისს ცოტა ხნით შეჩერდა კაიროში.

ნერუმ პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან მისი მომავალი მოლაპარაკების ძირითადი საკითხი იქნება „მშვიდობის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხი“. „ინდოეთი და საბჭოთა კავშირი, — განაცხადა ნერუმ, — დაინტერესებული არიან მშვიდობით, და ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს“.

შემდეგ ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ჰქონდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციას.

დაუბრუნდა რა მოსკოვის მომავალ მოლაპარაკებას, ნერუმ თქვა, რომ იგი განიხილავს აგრეთვე სავაჭრო და ეკონომიური პრობლემებს. „გარდა ამისა, — დასძინა მან, — მე მინდა რუსეთში განვიხილო დაგეგმვის, ზოგიერთი საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა მთავრდება და ვიწყებთ ახალი გეგმის შედგენას“.

პრაღაში ჩავიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

პრაღა, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს პრაღაში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება მოსკოვს.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ალმებით, ჯ. ნერუს შეხვდნენ: ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე იარომირ დოლანსკი, პრემიერ მინისტრის მოადგილეები ვაცლავ კოპეცკი და ლიუდმილა იანკოვცოვა, სახელმწიფო საგეგმო სამართველოს თავმჯდომარე ოტაკარ შიმუნეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, სსრ კავშირის ელჩი ნ. პ. ფირიუბინი, ინდოეთის ელჩი დ. ვირა, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან პრაღაში, და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და უკეხოეთის პრესის წარმომადგენლები.

პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრს გულთბილად მიესალმა ვილიამ შიროკი. საპასუხო სიტყვაში ჯ. ნერუმ გამოთქვა ჩეხოსლოვაკიისა და ინდოელი ხალხებს მეგობრული ურთიერთობის შემტკიცებისა და განმტკიცების იმედი.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 6 ივნისი. (საკდესი). პრაღაში ჩამოსვლის შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ინახულა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი. ვ. შიროკისთან საუბრის დროს ჯ. ნერუს მეტად აინტერესებდა ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიური მშენებლობის საკითხები. საუბარში პრემიერ-მინისტრები შეეხნენ აგრეთვე საერთაშორისო პრობლემებს და, უმთავრესად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საკითხებს.

საუბარი გულითადი მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი და ინდოეთის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში დ. ვირა.

შემდეგ ჯ. ნერუმ დაათვალიერა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი და ისტორიული ადგილები.

მას ახლდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი.

დღეს ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ვ. შიროკიმ საზეიმო სადილი გამართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად.

საღამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ზაპოტოცკის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ დარბაზობა მოაწყო ჯ. ნერუს პატივსაცემად

პრაღა, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ პრაღის კრემლში დარბაზობა მოაწყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. ნერუს პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ჯ. ნერუ, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრის ვილიამ შიროკის მეთაურობით, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, ინდოეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა ელჩის დ. ვირას მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი ნ. პ. ფირიუბინი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩეხოსლოვაკიისა და უცხოელი კორესპონდენტები.

დარბაზობამ დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრები თბილისში

7 ივნისს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა შვეიცარიის რიკსდაგის იმ დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან რიკსდაგის II პალატის მეორე ვიცე-თავმჯდომარე ანდერს ულსონი, რიკსდაგის საგარეო პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ანდერს პეტერსონი, რიკსდაგის პირველი საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარე ოლოფ რიუანდერი, რიკსდაგის დეპუტატები ემილ ალკვისტი, რუდოლფ ბუმანი, ანი ვალენტჰეიმი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. გ. მამაცაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ლ. გუნია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ნ. მრევლიშვილი, ვ. ნ. გრიგალაშვილი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლნი.

აეროდრომი მორთული იყო შვეიცარიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით.

შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრებს გულთბილად მიესალმა ვ. დ. კუპრაძე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ანდერს ულსონმა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამორჩენილი საწარმოს პარტიული ორგანიზაცია

ქუთაისის შუშის ტარის ქარხანა საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა. მან შუშის ქილებით უნდა მოამარაგოს ამიერკავკასიის საკონსერვო მრეწველობა. ჯერჯერობით ქარხანა ვერ ასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანას და სისტემატიურად ჩამორჩება სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში.

როგორ იბრძვის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ჩამორჩენის გამოსასწორებლად?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პარტბიუროს მდივანი ლ. ლალაძე მაშინვე მოიშველიებს პარტიული კრებების ოქმებს, რომლებიც არც თუ ისე ცუდად არის გაფორმებული, და თავი მოაქვს იმით, რომ საწარმოო საკითხები დიდი რაოდენობით არის განხილული.

პარტიის წესდებით საწარმოთა პარტორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, რაც აძლიერებს პარტორგანიზაციის პასუხისმგებლობას სამეურნეო მუშაობის მდგომარეობისათვის, ხელს უწყობს კომუნისტების აქტივობისა და ავანგარდული როლის ზრდას. კონტროლის უფლება ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაცია ღრმად ჩასწვდეს წარმოების ეკონომიკას, დაინტერესდეს მუშაობის არა მარტო საერთო მაჩვენებლით, არამედ საწარმოო ცხოვრების კონკრეტული საკითხებით.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, მართალია, ხშირად განიხილავს საწარმოო საკითხებს, მაგრამ მეტად ზოგადად, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასთან დაუკავშირებლად. აპრილში პარტიულ კრებაზე იმსჯელეს ქარხნის წლიური რემონტისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ კრება უფრო საწარმოო თათბირს ჰგავდა, არაფერი თქმულა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

პარტბიუროს ბევრ კარგ ღონისძიებას იღებს, მაგრამ საქმე მაინც ადგილიდან არ იძვრის, მიღებული დადგენილებები ქაღალდზე რჩება. ჯერ კიდევ დეკემბერში პარტბიუროს განიხილა საკითხი თვალსაჩინო აგიტაციის შესახებ. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, მაგრამ ის ნაკლოვანებანი, რაზეც ლაპარაკი იყო პარტბიუროს სხდომაზე, დღესაც გამოუსწორებელია. ქარხანაში მოწყობილი არ არის საგაზეთო ვიტრინები და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების დაფა, საამქროებში ვერ ნახავთ ლოზუნგებს, პლაკატებსა და დიაგრამებს.

ქარხანაში საგრძნობლად მოისუსტებს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორთა უმრავლესობას ფორმალურად აქვს მინდობილი ეს საქმე, რადგან მათ პარტბიუროს არაფერს სთხოვს. აირგენერატორის სადგურის უფროსს აგიტატორ დ. გურგენიძეს, რომელსაც უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს, გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის მაისამდე მხოლოდ 15 საუბარი აქვს მოწყობილი. აგიტატორ ს. ჩხობაძის ჩანაწერებს თუ დავუჯერებთ, იგი მრავალ საკითხზე მართავს საუბრებს. მაგრამ გამოირკვა, რომ ბევრი მისი საუბარი დაბალხარისხოვანია. ენერგეტიკულ საამქროში მუშაობა 3 ცვლად არის, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი აგიტატორია გამოყოფილი.

პოლიტიკური აგიტაციის ჩამორჩენა აგიტკოლექტივის ცუდი მუშაობითაც არის გამოწვეული. სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ მთელ რიგ საკითხებს აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე არ განიხილავენ.

არც პარტიული პროპაგანდის საქმეშია ყველაფერი რიგზე. პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში 11 მსმენელიდან სასწავლო წლის ბოლოსათვის მხოლოდ 7 დარჩა, და მათმა უმრავლესობამაც შემაჯამებელ მეცადინეობაზე თეორიის არასაკმაო ცოდნა გამოამჟღავნა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა შორის. ეს განსაკუთრებით ითქმის საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკების ნ. შათირიშვილის, ე. რევიშვილის და სხვების შესახებ.

ჩვენმა პარტიამ დიდი ამოცანები დასახა საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ისინი მოწოდებულნი არიან გააძლიერონ დახმარება წარმოების ნოვატორებისადმი, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მოწინავეთა გამოცდილება, ხელი შეუწყონ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციისა და რიტმული მუშაობის დანერგვის საქმეში. ქარხანაში მრავალი ნოვატორია, მაგრამ მათი გამოცდილების პოპულარიზაციისათვის არავინ ზრუნავს. მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატების ბ. ბაკურაძის, კ. ხაჭაპურიძის, დ. ჩუბინიძის, ა. აკოფოვის და სხვების გამოცდილება ყველა მუშისათვის არ არის ცნობილი. საწარმოში წელს მხოლოდ 7 რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა და, რაც უფრო სავალალოა, არცერთი არ არის განხორციელებული.

დანადგარები, რომლებითაც აღჭურვილია ქარხნის საამქროები, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ათვისებული. ეს შეიძლება ითქვას მინის საწნეხ მანქანებზე, რის გამო მათი წარმადობა განახევრებულია. მთლიანად ქარხანაში მანქანა-დანადგართა გამოყენების სამუალო კოეფიციენტი 58 პროცენტს არ აღემატება. არც ისე იშვიათია ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევები.

პარტიული კონტროლი გულისხმობს მასებთან კავშირის განმტკიცებას, სოციალისტური შეჯიბრებისათვის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევას. პარტორგანიზაცია სწორად უნდა წარმართავდეს პროფკავშირული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობას, ამაღლებდეს ამ ორგანიზაციების როლს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, მუშათა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების, მასებში კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ ასე როდია. საქარხნო კომიტეტი (თავმჯდომარე ვ. გარუჩავა) ნაკლებად ზრუნავს შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის. აქ ისიც კი არ იციან, თუ რამდენი კაცია ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოში ცუდად მუშაობენ სასადილო, სასაუზმე, მაღაზია და კომუნალური მოსახურების დაწესებულებანი. კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ასამდე კომკავშირელს ითვლის, ვერ იჩენს აქტივობას. მთელი რიგი კომკავშირელები უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას, ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩამორჩენით, სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის სუსტად დაყენებით მნიშვნელოვანწილად აიხსნება ის, რომ ქარხანა ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებას. ოთხი თვის საწარმოო გეგმა შესრულებულია 81,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდა შეადგენს მხოლოდ 86 პროცენტს, გადიდებულია პროდუქციის თვითღირებულება.

წელს ქარხანამ მილიონობით ცალი საკონსერვო ქილა უნდა გამოუშვას. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ამაღლდეს მუშათა შეგნებულობის დონე.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი მოვალეა ქმედითი დახმარება გაუწიოს ჩამორჩენილი საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

რუსთავის მეჯაღურგები დონბასში

სტალინო. („კომუნისტის“ საეც. კორ.). 6 ივნისი. რუსთავის მეტალურგთა დელეგაციის წევრები სტალინის სახელობის სტალინოს მეტალურგიული ქარხნის დათვალიერების შემდეგ ეწვივნენ მაკეევკის კიროვის სახელობის ქარხანას. დელეგაცია მიიღეს დირექტორის მოადგილემ ი. მატუშინმა და მთავარმა ინჟინერმა ვ. კულიკმა. მათ აინტერესებდათ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობა, ამავე დროს მათი აღზრდილის, ახლა რუსთავის სამბრძოლო სამჭედლოს ცვლის უფროსის რ. აბრამიშვილის საქმიანობა.

ამხ. კულიკმა სტუმრებს გააცნო კიროველთა სოციალისტური ვალდებულებები და განაცხადა, რომ ისინი წარმატებით სრულდება, მოწინავეთა რიგებში არიან მებრძოლეები ნ. ბულეკო და ვ. გრინევი, რომლებმაც მაისში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 318 ტონა თუჯი. ივანოვის მეფოლადეთა კომკავშირულმა ბრიგადამ პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით 1.147 ტონა ფოლადი გამოადნო.

რუსთაველი მეფოლადე ი. სამცოვი გულდასმით გაეცნო ღუმელების აორთქლებით გაცივების სისტემას, რასაც მაკეევკის ქარხანაში იყენებენ.

მაკეევკაში გაჩაღებულია საყოფაცხოვრებო ნაგებობათა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ მშენებლობებზე ფართოდ იყენებენ რუსთავის ბეტონის ცენტრალურ კომბინატში დამზადებულ ფილებს.

ლ. ხარბედია.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაგან გადახვევის წინააღმდეგ

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ ერთხელ კიდევ ნათელყო საბჭოთა ლიტერატურის ძალა და სიდიადე, მისი განუყრელი კავშირი კომუნიზმის მშენებელი ხალხის ცხოვრებასთან. ყრილობამ გვიჩვენა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურის — საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტის განუხრელი ზრდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყრილობისადმი თავის მისალმებაში მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ლიტერატურას, მის წარმატებებს. ამასთან ერთად პარტიამ გამოაშკარავა ჩვენი ლიტერატურის ნაკლოვანებანი და დასახა გზები მათი ლიკვიდაციისათვის, სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებრივ-გარდამქმნელი და აღმზრდელობით-აქტიური როლის ამაღლებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, შთაგონებულნი კომუნიზმისათვის ბრძოლის, ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის დიადი იდეებით, სიმართლით ასახავენ რა ცხოვრებას მთელ მის მრავალფეროვნებაში, ხელს უწყობენ ყოველივე ახლის, მზარდის, პროგრესულის გამარჯვებას. სოციალისტური რეალიზმი ხელოვანისაგან მოითხოვს სინამდვილის მართალ, ისტორიულად კონკრეტულ ასახვას მის რევოლუციურ განვითარებაში.

საზოგადოებისაგან ლიტერატურის „დამოუკიდებლობის“ ყალბ და ფარისეულ ბურჟუაზიულ ლოზუნგს, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ყალბ კონცეპციებს ჩვენი მწერლები სიამაყით უპირდაპირებენ მაღალიდეურ პოზიციებს, ლიტერატურის პარტიულობას, ხალხურობის პრინციპებს.

საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ლიტერატურულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას, რომლებიც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაშია აღნიშნული, ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩებიან.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მზადების დღეებში ჩვენს პრესაში გაჩაღდა დისკუსია საბჭოთა ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე. ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე დისკუსიის მოწყობაში ინიციატივა გამოიჩინა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“, რომელმაც დისკუსიის მსვლელობაში მრავალი წერილი გამოაქვეყნა. საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ამ დისკუსიის ძირითად, არსებით მხარეებს.

დისკუსიის მონაწილეები სავსებით სამართლიანად წერდნენ, რომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა სერიოზულად ჩამორჩება თანამედროვე ამოცანებს, ნაკლებად უწყობს ხელს ქართული საბჭოთა მწერლობის იდეურ-მხატვრულ ზრდას, ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხების ღრმად და საფუძვლიანად გახილვას. ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენა არაერთხელ აღინიშნა მწერალთა საზოგადოებრიობაში, საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის ოქტომბრის პლენუმზე. ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ ა. წ. № 4-ის სარედაქციო წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქართული საბჭოთა კრიტიკა ნაკლებად ეხმარება ლიტერატურის ზრდას. ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ჯერ კიდევ სუსტად შუქდება „ლიტერატურული გაზეთისა“ და „ნოსთობის“ ფურცლებზე. გაზეთი და ჟურნალი თითქმის არ აქვეყნებენ მებრძოლ, მწვავე პრინციპულ სტატიებსა და წერილებს, თავს არიდებენ მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატების კრიტიკას; კრიტიკოსთა ნაწილი გაურბის გამოსვლებს თანამედროვე ლიტერატურის საბრძოლო და გადაუდებელ საკითხებზე.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე აგრეთვე სწორად იყო აღნიშნული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ჩამორჩენის ზოგიერთი მიზეზი: კრიტიკოსთა უმრავლესობის მიერ ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული ღირსება — ნაკლოვანებათა ანალიზის უგულებელყოფა, ხშირ შემთხვევაში ანალიზის სქემატურობა და უფერულობა, ნაწარმოებთა შეფასებისას თანმიმდევრული პრინციპულობის უქონლობა და ა. შ.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მიერ წამოწყებულ დისკუსიას შეეძლო საოგებლობის მოტანა, თუ იგი წარმართებოდა ლიტერატურული მასალის კრიტიკული ანალიზის გზით, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

მკითხველი მოელოდა, რომ დისკუსია თემაზე „რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა“ საქმიან ხასიათს მიიღებდა და სასურველ შედეგსაც გამოიღებდა. განსაკუთრებით მწერალთა ყრილობის დამთავრებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმების გამოქვეყნების შემდეგ.

სამწუხაროდ, მკითხველის მოლოდინი არ გამართლდა. რატომ მოხდა ასე? რა არის ამის მიზეზი?

სერიოზული დისკუსია მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, სათანადო მომზადებას და მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარებას. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია ასეთი დისკუსიისათვის მოემზადებული ალმოჩნდა. დისკუსია ძირითადად ხელოვნების მიზნისა და სპეციფიკის რაობის შესახებ აბსტრაქტულ ფილოსოფიურ ბჭობად გადაიქცა. დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ კამათი დაიწყო საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის უდავო დებულებების, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითადი პრინციპების გარშემო და ზოგიერთი მათგანის „გადასინჯვასაც“ კი შეუდგა. ამ გარემოებამ განაპირობა გაზეთის სერიოზული იდეოლოგიური ჩავარდნა. წერილების ავტორთა ნაწილმა (ვ. ქვაჩახია, ზ. კაკაბაძე, შ. ვადაკკორი, ნ. კაკაბაძე, ბ. თევზაძე) მიზნად დაისახა საბჭოთა ესთეტიკაში „საყოველთაოდ გავრცელებული“ დებულებების უარყოფა და ამით არსებითად კარი გაუღო საბჭოთა ლიტერატურის მიერ დიდი ხნის წინათ დაგმობილ უიდეობას, ფორმალიზმსა და ნატურალიზმს.

დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა ხელოვნების სპეციფიკის გარკვევის საბაბით ერთმანეთს უპირისპირებს ხელოვნებასა და მეცნიერებას, უარყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებითს ფუნქციას, არსებითად თიშავს ხელოვნებას იდეოლოგიის სხვა ფორმებისაგან.

გავეცნოთ ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილს: „...ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გავრცელდა აზრი, რომ ხელოვნების დანიშნულებაა არა მთელი სინამდვილის ასახვა, არამედ მისი განსაკუთრებული ნაწილის, მხარისა — ადამიანის, მისი სულიერი სამყაროსი. ეს აზრიც არაზუსტია. ყოველ შემთხვევაში არაზუსტადაა გაგებული ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში. ამით შემოსაზღვრულია ხელოვნების ობიექტი, მაგრამ ის მაინც განხილულია როგორც შემეცნების სახეობა“... („ახ. კომ.“, 1954 წ. 9 დეკემბერი).

„შემეცნება საკუთრივი აზრით, — ვკითხულობთ მეორე წერილში, — გულისხმობს განზოგადებას, ანუ გრძნობად-აღქმად კონკრეტობისაგან განყენებას. მხატვრული წარმოსახვა არ ახდენს ფაქტების გრძნობად-აღქმადი კონკრეტობისაგან განყენებას, ანუ არ ახდენს განზოგადებას; ამდენად, როგორც უკვე ვთქვით, იგი თავისთავად არ წარმოადგენს შემეცნებას, ცოდნას საკუთრივი აზრით“. („ახ. კომ.“, 1954 წ. 23 დეკემბერი).

„თუ მწერალთა II ყრილობის მასალებს გადავავლებთ თვალს, — წერს მესამე ავტორი, — დავრწმუნდებით, რომ არცერთ ორატორს ხელოვნების, საერთოდ, და მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, სპეციფიკურ ამოცანად არ დაუსახავს სინამდვილის შემეცნება“. („ახ. კომ.“, 1955 წ. 19 თებერვალი).

მართალია, ასეთი მცდარი დებულებების გვერდით დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლებში გვხვდება ისეთი მოსაზრებანიც, რომლებიც ლიტერატურასა და ხელოვნებას ენიჭება სინამდვილის ასახვის უფლება, ორივე ცხადდება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმად, აზროვნების შედეგად, ცოდნის მომცემად და სხვ., სიტყვიერად აღიარებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდიც, ხელოვნების აღმზრდელობითი დანიშნულებაც, მაგრამ ეს ცალკეული ადგილები ვერ ეთანხმებიან დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობის მთავარი დებულებების საერთო სულისკვეთებას, რომლითაც უარყოფილია ხელოვნებისა და ლიტერატურის შემეცნებითი ფუნქციები.

რა საბუთი მოჰყავთ ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის უარყოფისათვის? გვარწმუნებენ, რომ სინამდვილის, კერძოდ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებათა შემეცნების ამოცანას ყველაზე სრულყოფილად მეცნიერება ასრულებს და მას ამ საქმეში დამხმარე არ სჭირდება.

მაშ რა არის ხელოვნების მთავარი დანიშნულება? მათი აზრით, ის, რომ მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომლის „მიზანია ცოდნა მიაწოდოს საზოგადოებას, ხელოვნების მიზანია ადამიანის სულიერ-ემოციონალური სამყაროს აღზრდა, მისი ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“. („ახ. კომ.“, 1954 წ. 9 დეკემბერი). ადამიანს, გარდა ცოდნის მიღების მოთხოვნილებისა, აქვს „უნარი და მოთხოვნილება — ემოციონალური ტკბობის, მშვენიერების აღქმისა და მისთან დატკბობის, ესთეტიკური ტკბობის უნარი და მოთხოვნილება... მოთხოვნილებას დაკმაყოფილება სჭირდება... ხელოვნება არის საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმა, რომლის მიზანია ხელოვნურად შექმნილი საშუალებებით დაკმაყოფილოს ადამიანის ემოციონალურ-ესთეტიკური მოთხოვნილებები... ესაა მისი სპეციფიკა და არა ის, რომ ხელოვნება ცოდნას აძლევს საზოგადოებას. ეს უკანასკნელი მეცნიერების სპეციფიკაა, მეცნიერება პასუხობს ამ ამოცანას“. (იქვე).

მოყვანილი მცდარი, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისათვის უცხო და მიუღებელი მოსაზრებანი გამოხატავენ დისკუსიაში მონაწილე ავტორთა უმრავლესობის ძირითად მრწამსს. ივი წითელ ზოლად გასდევს მთელ მათს მსჯელობას სტატიებში გაბნეული ბუნდოვანი, წინაღმდეგობათა შემცველი, არათანმიმდევრული დებულებების გვერდით.

ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკის გარკვევის საბაბით მათი შემეცნებითი, იდეური მხარის შეუფასებლობა ან სრული უგულებელყოფა საერთოდ ახალი მოვლენა როდია. ბურჟუაზიული ესთეტიკა არაერთხელ ცდილა ერთმანეთისათვის დაპირისპირებინა მეცნიერება და ხელოვნება. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ის საყოველთაოდ ცნობილი დებულება, რომ ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას. ხელოვნების სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სინამდვილის შემეცნების პროცესის შედეგებს ასახავს მხატვრული სახეებით. მეცნიერებაში სინამდვილის ასახვას ლოგიკური დასკვნებისა და ცნებების ფორმა აქვს, ხელოვნებაში კი სინამდვილე გამოხატება გრძნობად-კონკრეტული სახეებით.

ხელოვნება წარმოსახავს სინამდვილის, ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსებით, ტიპიურ მხარეებს ცოცხალი ადამიანების გრძნობად-კონკრეტული სახეებით, მხატვრული სახეებით.

განსხვავება მეცნიერებასა და ხელოვნებას (ლიტერატურას) შორის შესანიშნავად დაახასიათა ბ. გ. ბელინსკიმ: „ფილოსოფოსი ლაპარაკობს სილოგიზმებით, პოეტი — სახეებითა და სურათებით, ორივე კი ერთსა და იმავეს ამბობს. პოლიტიკო-ეკონომი, სტატისტიკური რიცხვებით შეიარაღებული, მოკმედებს რა თავის მკითხველთა თუ მსმენელთა გონებაზე, ამტკიცებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში ბევრად გაუმჯობესდა ან ბევრად გაუარესდა ამა და ამ მიზეზების გამო. პოეტი, სინამდვილის ცოცხალი და მკაფიო გამოსახვით შეიარაღებული, მოკმედებს რა თავის მკითხველთა ფანტაზიაზე, სწორი სურათით უჩვენებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში მართლა ბევრად გაუმჯობესდა ან გაუარესდა ამა და ამ მიზეზების გამო. ერთი ამტკიცებს, მეორე უჩვენებს, და ორივე კარგია: ერთი — ფაქტებით, ანუ ფაქტებისადმი ერთგულებით, ანუ ჭეშმარიტებით, ანუ ბუნებრივ-ისტორიული ფაქტებისადმი ერთგულებით, ანუ ბუნებრივ-ისტორიული ჭეშმარიტებით; ეს ორივე ერთად ... ეს ...

თავდადებული შრომის შედეგი

ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია თამბაქოს. კოლმეურნეები ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას. გასულ წელს 44 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანეთ 17,7 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქოს მოსავალი და ნედლეულის ჩაბარების სახელმწიფო დავალება 177,1 პროცენტით გავანაღდეთ. უფლება მოვიპოვეთ ფართო ჩვენებით მივიღოთ მონაწილეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ჩვენთან მრავალი მოწინავე ბრიგადა და ადამიანია. ისინი ენერგიულად შრომობენ და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. მათ შორის აღსანიშნავია ბრიგადა, რომელსაც კ. მიხელსონი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 8,2 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 19,43 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა, კ. ხურციძის ბრიგადამ — 6,5 ჰექტარზე საშუალოდ 18,11 ცენტნერი, მ. შეერის ბრიგადამ — 10,7 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე — 18,93 ცენტნერი, ხოლო მერგოლურმა ა. შახლამჯიანმა 6,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 20,81 ცენტნერი თამბაქოს მიღება. ამ წარმატებათა შედეგად აღნიშნული ბრიგადები და რგოლები მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

წელს კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 46 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 18 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ათობით ტონა წედლეული.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ხვედრითი წონა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში. კოლმეურნეობამ შარშან მარტო მეცხოველეობისაგან მიიღო 244.711 მანეთი შემოსავალი, ფერმებისათვის აშენებულია კაპიტალური სადგომები.

ნაყოფიერად მუშაობს კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა, რომელსაც ა. ტანველი ხელმძღვანელობს. გასულ სამეურნეო წელს 58 საფუტკაე ძრობისაგან საშუალოდ თვითეულზე მიიღეს 1.961 კილოგრამი რძე, ხოლო ზოგიერთი მაღალპროდუქტიული ძროხისაგან — 3.600-3.800 კილოგრამი.

რენტაბელური გახდა მეღორეობისა და მეფრინველეობის დარგები. გასულ წელს 18 სული დედაღორისაგან საშუალოდ თვითეულზე მიღებული და შენარჩუნებულია 21,2 გოჭი. ასეთი მაჩვენებლებისათვის ა. ალბიესი და ა. ვახტერი 1955 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან. მათ ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ წელს თვითეულ დედაღორზე საშუალოდ 23 გოჭის მიღება და შენარჩუნება.

არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენება უზრუნველყოფს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას.

დ. ერქვანია,
გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ქერის მკა

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). შარშანდელთან შედარებით წელს ქერი უფრო ადრე შემოვიდა. სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო ქერის მოსავლის შერჩევით აღება. კომბაინერმა ა. ბენაშვილმა თვითმავალი კომბაინით ამ კოლმეურნეობის ალაზნის პირას მდებარე ნაკვეთში ქერი მომკა 16 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ქერი ნაკვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 ცენტნერისა.

ქერის მკას შეუდგა აგრეთვე სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ პირველი განალეწა 1.500 კილოგრამი ქერი ჩაბარა ზაგოტზერნოს წნორის მიმღებ პუნქტს.

საქართველოს სსრ პავილიონში

საქართველოს სსრ პავილიონის მნახველთა თვალწინ იშლება მომხიბლველი სურათი: პირველ დარბაზში გორებად აწყვია ციტრუსოვანთა მრავალნაირი ნაყოფი, სხვადასხვა ხილი, ნიმუშები იმ საუცხოო პროდუქტებისა, რომლებითაც ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ქართული მიწა. მათ უკან ვიტრაჟში მოჩანს პავილიონის მშვენიერი ორანერია, რომელიც მუდამ აუარებელ მნახველს იზიდავს. აი ახლაც, პირველი წუთებიდანვე, აქ ტევა აღარ არის. მნახველები სიამოვნების გრძნობით ათვალიერებენ აქ დარგულ ციტრუსოვან მცენარეებს, ნაყოფით დახუნძლულ ლიმონებს, ფორთოხლის, მანდარინის და მრავალ სხვა ციტრუსოვან ნარგავებს.

— საუცხოოა, მშვენიერია! — განუწყვეტლივ გაისმის მნახველთა წამოძახილები.

ორანჟერიაში შევხვდით სახელოვან უკრაინელ კოლმეურნე ქალს, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინის ოთხი ორდენით დაჯილდოებულ აგრიპინა ანტონის ასულ ფარმუზინას. იგი გამოფენაზე მეორედ ჩამოვიდა როგორც მონაწილე. შარშან მეკარხლეთა იმ რგოლის მიერ მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს სუმის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკში“, დაჯილდოებულ იქნა გამოფენის დიდი ოქროს მედლით.

ორანჟერიიდან ბევრი მნახველი მიდის პავილიონის ღია ნაკვეთის დასათვალიერებლად. ორანჟერიის მარცხნივ ღია ნაკვეთზე, ეგრეთწოდებულ „ჩაის ბორცვზე“ თავი მოუყრიათ ექსკურსანტებს, რომლებიც ჩამოსულნი არიან დროგობიჩის ოლქის რუდკის რაიონიდან, სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონიდან, უდმურტეთის ავტონომიური ოლქის ალნაშის, ბალეზინისა და მალაია პუგრის რაიონებიდან. ისინი ინტერესით ათვალიერებენ აქ დარგულ ჩაის ბუჩქებს. მათს უმრავლესობას არასოდეს არ უნახავს ჩაის პლანტაცია. აი ერთი მოხუცი, გეორგიევსკელი კოლმეურნე, სთხოვს პავილიონის მუშაკებს უჩვენონ, თუ როგორ იკრიფება ჩაის მწვანე ფოთოლი. მისი თხოვნა იქვე სრულდება. ჩაის კულტურის შესახებ ექსკურსიამძღოლის სოფიო ბერეჟიანის პატარა საუბრის შემდეგ დამსწრეთ ჩაის ფოთლის კრეფის ხერხებს უჩვენებს მახინჯაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი ტატიანა თოიძე.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, მისი მრეწველობის, ენერგეტიკული მეურნეობის ამსახველ სტენდებს და იქ წარმოდგენილ ექსპონატებს.

პავილიონში მოსულთა შორის ბევრია ჩვენი ქვეყნის შორეული რაიონებიდან ჩამოსული სოფლის მეურნეობის მშრომელი. მრავალ მათგანს მკერდზე უბრწყინავს გამოფენის მონაწილის ნიშანი. პავილიონის მესამე დარბაზში წითლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის წარმატებებისადმი მიძღვნილ სტენდთან ჩვენ ვნახეთ ერთ-ერთი მათგანი — ყამირი მიწებიდან ჩამოსული, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სტეფანე ტროფიმოვი. 1938 წლიდან იგი მეთაურობს აკმოლინსკის ოლქის ნოვოჩერკასკის რაიონის კალინინის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. ჩვენ მას გამოვესაუბრეთ, თურმე ის იცნობს საქართველოს, ომამდე ყოფილა აქ, იცნობს აქაური მექანიზატორების საქმიანობას.

— შარშან მოსავლის აღების დროს, — გვეუბნება იგი, — ჩვენთან საქართველოდან დასახმარებლად ჩამოვიდნენ ქართველი კომბაინერები. 12 კაცი იყო, ძალიან მარჯვე, კარგი ბიჭები, სასახელოდაც შეასრულეს დავალება, თვითეულმა 300-400 ჰექტარი პური მომკა.

...პავილიონში განუწყვეტლივ მოედინება მნახველთა ნაკადი. ვერ ნახავთ სტენდს, რომელთანაც ხალხი არ იყოს შეჯგუფებული. დიდ ინტერესს იწვევს სტენდები, რომლებზეც ასახულია ქართველ მეკვლახეთა, მებაღეთა, მეაბრეშუმეთა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეთა სასახელო შრომითი საქმეები.

დღეს საქართველოს პავილიონში საზღვარგარეთელი სტუმრებიც იყვნენ. მათ შორის ერთ-ერთი პირველი მოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მინისტრი მარეკ სმიდა.

დამთვალიერებელთა შორის იყო აგრეთვე მექსიკისა და ჩილის პროფკავშირულ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად იყო 1 მაისის დღესასწაულზე ჩინეთში და ახლა მოსკოვზე გავლით სამშობლოში ბრუნდება. ჯგუფის წევრებმა დიდი ინტერესით შემოიარეს პავილიონის დარბაზები და შთაბეჭდილებათა წიგნში დატოვეს შემდეგი ჩანაწერი: „ჩილისა და მექსიკის პროფკავშირული დელეგაცია მხურვალედ ულოცავს საბჭოთა კავშირის დიდ ხალხს საუცხოო წარმატებებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში და განსაკუთრებით ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს, რესპუბლიკისა, სადაც დაიბადა საერთაშორისო პროლეტარიატის გამოჩენილი ბელადი ამხანაგი სტალინი“.

პავილიონის დამთვალიერებელთაგან ბევრმა დატოვა დღეს შთაბეჭდილებათა წიგნში მღელვარე, მადლობის გამომხატველი სიტყვები.

5 ივნისს პავილიონის მუშაობის დამთავრებამდე — საღამოს 10 საათამდე არ შეწყვეტილა აქ მნახველთა ნაკადი. სულ ამ დღეს პავილიონში 80 ათასამდე კაცი იყო.

ლ. ასტვაცატუროვი,
ს. რიქინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

მეაბრეშუმეობის პავილიონში ორი დიდი სტენდი დათმობილი აქვთ საქართველოს სს რესპუბლიკის მეაბრეშუმეებს. სურათზე: პავილიონის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

1955 წლის 1 ივნისისათვის

ხორცი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს		ჩამოტარებიან:	
		აფხაზეთის ასსრ	
		კასპის	რაიონი
სამხრეთ ოსეთის		ყაზბეგის	„
ავტ. ოლქმა		წალკის	„
გურჯაანის	რაიონმა	ვანის	„
ლაგოდეხის	„	ონის	„
მახარაძის	„	საჩხერის	„
ლანჩხუთის	„	ჭუთაისის	„
		ცაგერის	„

რძე

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს		ჩამოტარებიან:	
		აფხაზეთის ასსრ	
		ადიგენის	რაიონი
გურჯაანის	რაიონმა	ახმეტის	„
ლაგოდეხის	„	ყაზბეგის	„
		ზესტაფონის	„
		ონის	„
		ამბროლაურის	„
		შაიკოვსკის	„
		ხობის	„

კვერცხი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს		ჩამოტარებიან:	
		სამხრეთ ოსეთის ავტ.	
		ოლქი	
ადიგენის	რაიონმა	საჩხერის	რაიონი
ასპინძის	„	გეგეჭკორის	„
ახალქალაქის	„	თერჯოლის	„
ახალციხის	„	წყალტუბოს	„
ბოგდანოვკის	„	ჭიათურის	„
ბოლნისის	„	ხობის	„
დმანისის	„		
თეთრი წყაროს	„		
თიანეთის	„		
წალკის	„		
წითელწყაროს	„		
ამბროლაურის	„		

მატყლი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს		ჩამოტარებიან:	
		გორის	რაიონი
		კასპის	„
ახმეტის	რაიონმა	ქარელის	„
დუშეთის	„	ვანის	„
კაჭრეთის	„	ლაგოდეხის	„
ყაზბეგის	„	ყვარლის	„
ამბროლაურის	„		
მაიაკოვსკის	„		
ორჯონიკიძის	„		
ჭუთაისის	„		
წალენჯიხის	„		

პრემიები საბჭოთა ვაჭრობაში დაწინაურებულებს

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ და სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა წელს პირველ კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მეორე პრემია მიანიჭეს თბილმრეწვავჭრობის კოლექტივს. წელს პირველ კვარტალში ამ სავაჭრო ორგანიზაციამ არაცენტრალიზებული შესყიდვის წესით შეიძინა 10 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი, დაგროვების გეგმა 25 პროცენტის გადამეტებით შეასრულა და სახელმწიფოს 1.663 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა.

მეორე პრემიები მიეკუთვნათ აგრეთვე თბილმრეწვავჭრობის 54-ე მაღაზიას და თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის სასადილოს. მესამე პრემიები მიიღეს აფხაზკურორტვაჭრობამ და საქვაჭრობის მე-7 მაღაზიამ ახალციხეში.

კულტურის სახლის მუშაობის ორი მაგალითი

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემაში უაღრესად სერიოზული ამოცანები აკისრია საარაიონო კულტურის სახლს, რომელიც რაიონული ცენტრის კულტურის კერას წარმოადგენს. იგი თავისი მუშაობით ტონს აძლევს რაიონის საკლუბო დაწესებულებათა მთელ ქსელს, ამასთან კულტურულ მომსახურებას უწევს რაიონის მოსახლეობას. სადაც საარაიონო კულტურის სახლის მუშაობა ვეფოვან სიმაღლეზე დგას, იგი იქ უსათუოდ დადებით გავლენას ახდენს სოფლის საკლუბო დაწესებულებებზე. საკლუბო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, როცა ისინი იყენებენ მოწინავე კულტურის სახლის მუშაობის გამოცდილებას, კარგად აქვთ მოწყობილი მოსახლეობის კულტურული მომსახურება.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბორჯომის საარაიონო კულტურის სახლის (დირექტორი გ. ბაჩაკაშვილი) მუშაობა. კულტურის სახლის დირექციამ აქტივის სწორად გამოყენების გზით მიაღწია იმას, რომ ამჟამად კულტურის სახლში მუშაობს მხატვრული თვითმოქმედების და საერთო-საგანმანათლებლო 10 წრე, რომელთა ძალებით შარშან 623 ღონისძიება განხორციელდა (ლექციები, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, საღამო-კონცერტები და სხვ.). მომსახურება გაეწია 81.570 კაცს.

ნაყოფიერად მუშაობს კულტურის სახლის დრამატული წრე (ხელმძღვანელი ამხ. ხმალაძე). წრემ შარშან მოამზადა 19 პიესა და სკეტჩი, მაყურებელს უჩვენა 139 წარმოდგენა, რომლებსაც დაესწრო 8.000-ზე მეტი მაყურებელი. ასევე კარგად მუშაობს კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ს. იაშვილი), რომელიც მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდა.

დრამატულ წრეს და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კულტურის სახლის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. გასულ წელს მათ მიერ მოწყობილმა საღამო-კონცერტებმა კულტურის სახლს მისცა 78.781 მანეთი შემოსავალი. რა თქმა უნდა, მარტო ამით არ ამოიწურება კულტურის სახლის საქმიანობა. აქ შექმნილია აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც კულტურულ მომსახურებას უწევს რაიონის სოფლებს, კოლმეურნეობებს, სანატორიუმებს და მომთაბარე მწყემსებს. კულტურის სახლში მოწყობილია ლენინისა და სტალინის ოთახი, ჩვენი ქვეყნის მხატვართა ნამუშევრების ფოტოილუსტრაციების გამოფენა. მათ ყოველდღიურად მრავალი მნახველი ათვალიერებს.

ამასთან კულტურის სახლში კარგად არის მოწყობილი საცნობა-საკონსულტაციო მუშაობა. კულტურის სახლს გამოყენებული აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ქმედითი ფორმა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი საარაიონო კულტურის სახლის ხელმძღვანელს ჰგონია, რომ მისი მოვალეობა ამოიწურება მხოლოდ კულტურის სახლის გაღებითა და დახურვით. რას მივაწერთო, მაგალითად, ყვარლის საარაიონო კულტურის სახლის დირექტორის ამხ. დენტოშვილის უმოქმედობა, თუ არა საქმის უცოდინარობას და კულტურის სახლის როლის შეუფასებლობას?

ყვარლის საარაიონო კულტურის სახლის მუშაობაში არ მონაწილეობს ინტელიგენცია, შექმნილი არ არის მხატვრული თვითმოქმედების და საერთო განათლების წრეები. ეს გარემოება მიიღო მზედველობაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და ყვარლის საარაიონო კულტურის სახლში მიავლინა მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი მ. სვანიძე, რომელსაც დაავალა დაფძარება გაეწია კულტურის სახლისათვის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბებაში. მან ეს დავალება კარგად შეასრულა, ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. მაგრამ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ოლიმპიადიდან დაბრუნების დღესვე დაიშალა. კულტურის სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია, არ ეწყობა შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან, სუსტად არის დაყენებული მეცნიერულ-ათეისტური და აგრო-ზოოტექნიკური ცოდნის პროპაგანდა, არ წარმოებს საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, არაეფექტური ყურადღება არ ექცევა კედლის გაზეთის გამოშვებას. ცხადია, ასეთი კულტურის სახლი სათანადო ავტორიტეტით ვერ ისარგებლებს. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ უმოქმედო დირექტორი გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კულტურის სახლის ხელმძღვანელებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი უაღრესად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. მათი მოვალეობაა აამაღლონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის იდეურ-პოლიტიკური დონე, ყველაფერი გააკეთონ, რათა ხელი შეუწყონ მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობისა და კულტურის ზრდას.

თვითეული კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო წარმოების ნოვატორთა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის ცენტრი უნდა იყოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სწორ ორგანიზაციას. კოლმეურნეობათა შემდგომმა გამმტკიცებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა კოლმეურნეთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის. ბევრი კოლმეურნეობა აშენებს აგროკულტურის სახლებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს, იძენს სტაციონარულ კინოდანადგარებს. კულტურის სახლების დირექტორებისა და კულტურას განყოფილებათა გამგეების ამოცანაა ფართოდ გამოიყენონ ყველა ეს დაწესებულება სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად, მოწინავე მიჩურანული მეცნიერების მიღწევათა ფართო პროპაგანდისათვის, კოლმეურნეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მათი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. კულტურის განყოფილებებმა ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სისტემატურად წარმართონ მათი მუშაობა, ისე რომ ეს დაწესებულებები გადააქციონ კულტურის მძლავრ კერებად, რათა ისინი უფრო სრულად აკმაყოფილებდნენ მშრომელთა მზარდ კულტურულ მოთხოვნებს.

ი. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

მშვენიერდება კურორტი ქობულეთი

ქობულეთი. (საკ. კორ.). სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი და კურორტი ქობულეთი. მის მარადმწვანე ხეივნებს ყოველწლიურად ემატება ათასობით დეკორაციული და ყვავილოვანი მცენარე და ბუჩქი.

დასასრულს უახლოვდება ლენინის ქუჩის გაფართოება და მოასფალტება. ქუჩის ორივე მხარეზე ეწყობა ბორდიურები, დეკორაციულ მცენარეთა ხეივნები და ყვავილების გაზონები. იდგმება ლამაზი ლამპიონები. ამავე ქუჩაზე შენდება კინოთეატრის ახალი შენობა 350 მაყურებლისათვის, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და არტელ „განახლების“ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და სამრეწველო დანიშნულების სახლები. აჭარკოოპკავშირი აქ აშენებს ორსართულიან უნივერმაღს. გათვალისწინებულია ორსართულიანი კაფე-რესტორანის აგება.

...

ნის მიერ და სინამდვილის აღქმასა და შემეცნებას შემოქმედების პროცესში ხელოვანის მიერ. ამასთანავე ისინი თავს არ იწუხებენ ამ მხრივ ხელოვნების ცალკე სახეებისა და ჟანრების სპეციფიკის განხილვისათვის.

რასაკვირველია, სოციალისტური ხელოვნება მოიცავს ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ემოციური ზემოქმედებისა და მშვენიერების კრიტიკოუმს. მაგრამ ყოველივე ეს, აბსტრაქტულად, ხელოვნების იდეურობისა და პარტიულობის პრინციპების. მისი შემეცნებითი ფუნქციის გაუთვალისწინებლად გაგებული, რა თქმა უნდა, უიდეობისა და ამორტიკურობის, დეკადენტობისა და დაცემულობის ქადაგებას მოასწავებს.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ემყარება სამყაროს შეცნობადობის მატერიალისტურ თეზისს. შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენს ურყევ საძირკველს, რომელზეც დაფუძნებულია სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი პრინციპი. საბჭოთა ხელოვანი თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობს ასახვის ლენინური თეორიით, როგორც სინამდვილის შემეცნების ერთადერთი სწორი მოძღვრებით. საყოველთაოდ გავრცელებული ეშმაკრიტების წინააღმდეგ ამხეცრებული ვ. ქვაჩახია კი ბირველსაც წერილში ეტყს ქვეშ აყენებს ასახვის ლენინური თეორიის გამოსადეგობას ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. ის იქამდეც კი მიდის, რომ არ ერიდება ლიტერატურის პარტიულობის მოძღვრების შემქმნელს ვ. ი. ლენინს მაიწეროს, რომ ხელოვნების ნაწარმოების მთავარ დანიშნულებას იგი თითქოს ხედავდა სიამოვნებისა და სიხარულის მოგვრაში.

„საყოველთაოდ გავრცელებული“ ეშმაკრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებული ავტორი წერს: „შეცდომით ფიქრობენ ჩვენში, რომ ვინც ხელოვნების ძირითად ამოცანას ესთეტიკურ-ემოციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ხედავს, იდეალისტია“. („ახ. კომ.“ 1954 წ. 9 დეკემბერი). უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გრძნობს მის მიერ განვითარებული კონცეპციის წინააღმდეგობას მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკასთან, სულიერ ნათესაობას იდეალიზმთან და აღნიშნული სიტყვებით ცდილობს თვალი აუხვიოს მკითხველს.

შიშველი ესთეტიზმის მქადაგებელი ავტორი არსებითად ცდილობს ჩამოაშოროს ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. თავისი „თეორიის“ შესაბამისად იგი მაღალ შეფასებას აძლევს იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც „გრძნობად-ემოციური შინაარსი“ მოცემული, სრულიად უმნიშვნელოდ მიაჩნია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იდეებს და განწყობილებებს გამოხატავენ ისინი. მისი აზრით, ჩვენში „ძალიან ხშირად ნამდვილი, სასარგებლო ნაწარმოები ჩათვლილია დეკადენტურ, ფორმალისტურ ნაწარმოებად მის გარეგნულ ნიშნებზე დამყარებით და პირიქით, არაფორმალიზმი, სუტი, უფერული (და ამდენად უიდეოც!) ნაწარმოები ყვნით იხსენიება“ (იქვე). ავტორი აშკარად მოითხოვს „ფასეულობათა გადაფასებას“, იგი გვთავაზობს გამოვიყენოთ კრიტერიები, რომელიც გამორიცხავს ნაწარმოების იდეურობის, პარტიულობის, სინამდვილის რეალისტური ასახვის მოთხოვნებს (რასაც ავტორი მიიჩნევს ე. წ. „გარეგნულ ნიშნებად“). გამოდის, რომ ნაწარმოების შეფასების ერთადერთ საზომს „ემოციონალურ-ესთეტიკური ტკბობის“ მოგვრის უნარი წარმოადგენს.

ამ მანკიერ პრინციპზეა დაფუძნებული გ. ტაბიძის ლექსის „მე და ღამის“ და ბ. ჩხეიძის ადრინდელი, მხატვრულად სუსტი რომანის „ფეროს“ უცნაური დაპირისპირება. „ზემოდასახელებული „ფერო“ ასახავს სინამდვილეს — ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს — მასში ასახული ერთი მშრომელობის პროცესი, ვის ახსოვს ეს ნაწარმოები? თითქმის არავის, მაგრამ „მე და ღამე“ თითქმის ყველას ახსოვს“. და შემდეგ: „ის რაც „ფეროშია“ მოცემული გენიალურმა პოეტმა რომ გალექსოს, მაინც დავიწყებას მიეცემა, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების ნიმუში არ იქნება, ხოლო „მე და ღამე“ პროზიდაც ამაღლებული და მნიშვნელოვანი იქნება“ („ახ. კომ.“, 1954 წ. 7 დეკემბერი).

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ავტორი აქ აშკარად ილაშქრებს საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის ამსახველი თემატიკის წინააღმდეგ, იგი ცდილობს შეზღუდოს და შემოიფარგლოს ჩვენი ხელოვნება და ლიტერატურა ვითომდა სპეციფიკური „ემოციურ-ესთეტიკური“ შინაარსით, ამრიგად, ჩვენს მწერლებს არწმუნებენ, რომ სოციალისტური მშენებლობის, ინდუსტრიის აღმავლობის თემაზე გენიალური პოეტიც ვერაფერს დაწერს მნიშვნელოვანს, ხოლო გამოუვალი სევდისა და მწუხარების განწყობილებით, მარტოობის გრძნობით გამსჭვალული ნაწარმოები პროზით შესრულებულიც კი ძვირფასი იქნება. როდესაც დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ ს. ცაიშვილმა აღნიშნა „ფეროსა“ და „მე და ღამის“ შედარების შეუსაბამობა (იხ. გაზ. „ახ. კომ.“, 1955 წ. 4 ივნისი), რედაქციამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა ბ. თევზაძის ბუნდოვანი, მცდარი სტატია სათაურით „ერთი გულუბრყვილო წერილის გამო“ (იხ. „ახ. კომ.“, 1955 წ. 13 ივნისი), სადაც ავტორი, ჩაებღაუჭა რა ს. ცაიშვილის წერილის სუსტ მხარეებს, შეეცადა დეცეა ზემოთგანხილული არასწორი დებულებები. როგორც ჩანს, ეს შემთხვევითი არ არის. სადისკუსიო წერილების ანალიზიდან ირკვევა, რომ რედაქცია იზიარებს ვ. ქვაჩახიას, ბ. თევზაძის, ზ. კაკაბაძის და სხვათა მცდარ დებულებებსა და აზრებს. ასეთი დასკვნა ბუნებრივად დაებადება მკითხველს, როდესაც გაეცნობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ სარედაქციო სტატიას და ზ. ვადაჭკორიას წერილს (იხ. „ახ. კომ.“, 1955 წ. 27 ივნისი, 26 თებერვალი). რედაქცია საერთოდ ვერ ეგუება ყოველი სალი კრიტიკული აზრის გამოჩენას ამ საკითხზე. შემთხვევითი როდია, რომ დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობის წერილებში ერთი სიტყვათაც არ არის მოხსენებული ჩვენი პარტიის ისტორიული დადგენილებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, არაფერია ნათქვამი ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ მოძღვრებაზე, გვერდი აქვს ავლილი მწერალთა მეორე ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში დასახულ ჩვენი მწერლობის ძირითად საბრძოლო ამოცანებს.

ცნობილია, თუ რა დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენი პარტია ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებაში მწერალთა მეორე ყრილობისადმი მიუთითებდა ჩვენი ლიტერატურის იმ მნიშვნელოვან ნაკლზე, რომ მასში სათანადო გამოხატულება ვერ პოულობს ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. პარტია მოუწოდებს მწერლებს აქტიურად დაუპირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების წინსვლას, და მთელი ძალით და მგზნებარებით ამხილონ ძველი, მესაკუთრული სამყაროს გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, ამხილონ გულგრილი და დამყაყებული ადამიანები, ხელი შეუწყონ ჩვენი ცხოვრებიდან ყოველივე იმ ანტიჰუმანოზგადოებრივისა და მოძველებულის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უშლის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფ ზრდას.

საბჭოთა ლიტერატურის ზემოაღნიშნული ამოცანაც ვ. ქვაჩახიას მცდარად მიაჩნია. ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა უყურადღების გამახვილებას ბურჟუაზიული იდეოლოგიის და მორალის გადმონაშთების, კარიერიზმის, მლიქვნელობის, ქურდობის, მატყუარობის, ლოთობისა და სხვათა წინააღმდეგ ის, რაღაც უცნაური ლოგიკის ძალით, სთვლის ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიის“ გაგრძელებად. თურმე „გადმონაშთების თეორია“ აფერხებს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას. „სანამ გადმონაშთების თეორიას ვერ დავძლეთ, ლიტერატურული კრიტიკის, ლიტერატურის შეფასების საქმეც წინ ვერ წავა“ („ახ. კომ.“, 1954 წ. 16 დეკემბერი). იგი ირონიულად შენიშნავს, რომ „გმირი, რომელიც „ძლევამოსილად ებრძვის“ და ძლევს გადმონაშთებს, ჯერ კიდევ არაა ნამდვილი გმირი — ოოლადაა გმირად გამხდარი და ის მკითხველს არ აღელვებს, არ აკმაყოფილებს. მკითხველს... მხოლოდ ირონიულად ეღიმება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება

პეკინი, 6 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ დღეს გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება გლეხობაში საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერების შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამჟამად უმნიშვნელოვანესი ამოცანა სოფლად არის სოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის მოძრაობის განვითარება და სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ გარდაქმნათა თანდათანობით განხორციელება. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა გლეხთა არა მარტო სოციალისტური შეგნების განუწყვეტელი გაძლიერება, არამედ მათი კულტურული დონის ამაღლებაც.

5 წელიწადში, აღნიშნულია დადგენილებაში, სახალხო მთავრობამ მიიღო დიდი ღონისძიებანი გლეხთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

ახლა ახალი ვითარების მოთხოვნებისა და ახალი ამოცანების შესაბამისად სოფელში მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმეა გლეხთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობის შემდგომი გაჩაღება.

სამრეწველო მშენებლობა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 6 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ვეჩერნე ნოვოსტი“ იუწყება, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მთავრდება მთელი რიგი დიდი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

მაგლაიში დასასრულს უახლოვდება იმ ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 24 ათას ტონა ცელულოზას, 22 ათას ტონა ქაღალდსა და 16.800 ტონა ქაღალდის პარკებს.

გაჩაღებულია ჰიდროელექტროსადგურ „იაბლანიცის“ მესამე აგრეგატის მონტაჟი. მიმდინარე წლის ზაფხულში აგრეგატი მწყობრში ჩადგება. მომავალ წელს დამთავრდება სამი დანარჩენი აგრეგატის მონტაჟი.

დიდი კაპიტალური სამუშაოები წარმოებს ვარეშის რკინის მადნის შახტების ხელახლა მოწყობისათვის.

ბრაზილიის საზოგადოებრიობა მიესალმება ჟოზე დე კასტროსათვის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის მიკუთვნებას

მონტევიდეო, 6 ივნისი. (საკდესი). ბრაზილიის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება იმას, რომ ბრაზილიის გამოჩენილ მეცნიერს, მშვიდობისათვის მებრძოლ ჟოზე დე კასტროს მშვიდობის საერთაშორისო პრემია მიეკუთვნა. ამ დღეებში რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა ჟოზე დე კასტროს პატივსაცემი სადამო. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ლეპუტატმა ფერნანდო ფერარიმ, უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის პროფესორმა ლუი ვიანამ და სხვებმა. მიმართა რა ჟოზე დე კასტროს, „ხალხთა შორის მშვიდობის გამბრძოლებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერალმა ჟორჟი ამადუმ თქვა: „თქვენთვის გადმოცემული მშვიდობის საერთაშორისო პრემია პატივია მთელი ბრაზილიის ინტელიგენციისათვის, რომელიც იცავს ჩვენი ხალხის უაღრესად კეთილშობილურ და მშვენიერ ტრადიციებს და იბრძვის მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრული ურთიერთგაგებისათვის“.

სიპასუხო სიტყვაში, რომელშაც არაერთგზის გამოიწვია დამსწრეთა მქუხარე ტაში, ჟოზე დე კასტროს განაცხადა, რომ იგი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს მშვიდობისათვის. „მე, — თქვა მან, — არ ვიცი ადამიანისათვის უფრო ღირსეული მისია, ვიდრე მშვიდობის დაცვის მისია“.

ამერიკის შეერთებული შტატები აიარაღებენ დასავლეთ გერმანიას

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ცნობით, 5 ივნისს ვაშინგტონს ჩამოვიდა დასავლეთ გერმანიის მეურნეობის მინისტრი ერჰარდი. იგი, როგორც ცრობიდან არკვევა, მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის ხელისუფლებათან ამერიკული იარაღით დასავლეთ გერმანიის ვერმახტის შეიარაღების შესახებ.

საგენტო აღნიშნავს, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების საწყობებში დასავლეთ გერმანიაში გასაგზავნად მზად არის რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის სამხედრო საჭურველი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის 38-ე სესია

ჟენევა, 6 ივნისი. (საკდესი). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის 38-ე სესიაზე დამთავრდა მისი სამუშაო ორგანოების შექმნა. სესიის დღის წესრიგის თვითეული პუნქტისათვის არჩეულია კომისიები, რომლებშიც შედიან მთავრობის დელეგატები, პროფკავშირთა დელეგატები და მეწარმეთა დელეგატები. სესიაზე შექმნილია 8 ასეთი კომისია: საფინანსო და სპბიუჯეტო საკითხების, შრომისუნარდაკარგულ პირთა პროფესიული გადამზადების, მუშათა სოციალური მომსახურებისა და სხვ.

შრომისუნარდაკარგულ პირთა პროფესიული გადამზადების კომისიაში სხვა წევრებთან ერთად შევიდნენ სსრ კავშირის მთავრობის დელეგატი ნ. მურავიოვი, უკრაინის სსრ მთავრობის დელეგატი ნ. ვოიტოვა, ბელორუსიის სსრ პროფკავშირთა დელეგატი ტ. ნოვიკოვა და სხვ., მუშათა სოციალური მომსახურების კომისიაში — სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგატი პ. პიმენოვი, უკრაინის სსრ პროფკავშირთა დელეგატი ნ. ეფანოვი, სსრ კავშირის საწარმოების ხელმძღვანელთა დელეგატი ე. ბორისოვი და სხვ.

კაპიტალისტური ქვეყნების მეწარმეთა ჯგუფმა სცადა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის პროცედურის წესების წინააღმდეგ ხელი შეეშალა სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწარმოების ხელმძღვანელთა დელეგატების არჩევისათვის კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც შექმნილია კონფერენციის დღის წესრიგის საკითხების განსახილველად.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ეს მოთხოვნა უარყეს და ხმის უმრავლესობით მიიღეს გენერალური კომიტეტის წინადადება — მიეცეს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწარმოების ხელმძღვანელთა წარმომადგენლებს ადგილები კომისიებში როგორც წევრების მოადგილეებს.

გენერალური კონფერენციის 38-ე სესიამ იმ საკითხების განხილვასთან ერთად, რომლებიც შეტანილია მის დღის წესრიგში, უნდა განიხილოს აგრეთვე რეზოლუციების სხვადასხვა პროექტი, წარდგენილი პროცედურის წესების თანახმად კონფერენციის განსახილველად დღის წესრიგის გარეშე. სულ შეტანილია რეზოლუციების 11 ასეთი პროექტი.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგატმა კონფერენციის განსახილველად შეიტანა პროექტი რეზოლუციისა შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და პროფკავშირული მოღვაწეობის დარგში დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ; სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგატმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესების შესახებ.

პოლონეთისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგატებმა შეიტანეს პროექტი რეზოლუციისა პროფკავშირთა უფლებების დაცვის შესახებ მშრომელთა პროფკავშირული უფლებების იმ ქარტიის შესაბამისად, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა საბჭომ მიიღო 1954 წლის დეკემბერში. პოლონეთის მთავრობის დელეგატმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ; ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტი შეტანილია ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის პროფკავშირთა დელეგატების მიერ.

რეზოლუციების ყველა ამ პროექტის განსახილველად შექმნილია სპეციალური კომისია. ამ კომისიის შემადგენლობაში სხვა დელეგატებს შორის შევიდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. არუთინიანი, უკრაინის სსრ წარმომადგენელი ა. სელეზნევი, ბელორუსიის სსრ წარმომადგენელი ი. ბუგროვი, სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგატი პ. პიმენოვი.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია

პარიზი, 6 ივნისი. (საკდესი). დამთავრდა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია. სესიაზე აირჩიეს მშვიდობის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი და ბიურო და მიიღეს ორი რეზოლუცია. მშვიდობის მომავალი მსოფლიო ასამბლეისადმი მიძღვნილ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეს ასამბლეა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის გზების გამონახვას და რომ საფრანგეთის საზოგადოებრიობა ასამბლეაზე წარმოდგენილი იქნება მრავალრიცხოვანი დელეგაციით.

მეორე რეზოლუციაში ლაპარაკია საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ამოცანებზე, აღნიშნულია დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკის, გამალებული შეიარაღებისა და ატომური ომის მომზადების პოლიტიკის საშიშროება. რეზოლუციაში სპეციალურად ხაზგასმულია, რომ საფრანგეთის პოზიციას ევროპასა და მთელ მსოფლიოში სერიოზულად გამოუთხარა ძირი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამ და რომ საფრანგეთი საარსებოდ დაინტერესებულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის წარმატებით.

ეგვიპტისა და ისრაელის ურთიერთობა

კაირო, 6 ივნისი. (საკდესი). ეგვიპტის პრესა იუწყება, რომ გაფრთხილდა ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობა. თითქმის ყოველდღე მოდის ცნობები ღაზის რაიონში ისრაელისა და ეგვიპტის ჯარების შეტაკებათა შესახებ. დღეს გაზეთები იუწყებიან, რომ ისრაელის მხარემ კვლავ დაარღვია შეთანხმება დაზავების შესახებ. პრესის ცნობებით, 5 ივნისს ისრაელის ჯარისკაცებმა 4 ავტომანქანით ორი ჯავშანოს თანხლებით გადმოლახეს საღემარკაციო ხაზი და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს ეგვიპტის სასაზღვრო საგუშაგოებს. ამავე დროს ისრაელის მხარემ ეგვიპტის ამ საგუშაგოებს ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ქვემეხთა სროლა აუტეხა. ეგვიპტის ჯარებმა სროლითვე უპასუხეს და, როგორც გაზეთები იუწყებიან, ისრაელის ჯარების იერიში მოიგერიეს.

გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ შეიარაღებული შეტაკებები მოხდა ისრაელისა და იორდანიის და ისრაელისა და სირიის საზღვრებზე.

საომარი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 6 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ლიბერასიონი“ იმოწმებს ფრანს პრესის საგენტოს ცნობას საიგონიდან და წერს, რომ ნგო დინ დიემის მთავრობის ჯარებმა დიდი შეტევა დაიწყეს ხოა-ხაოს სექტის შეიარაღებული რაზმების წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობს მთავრობის ჯარების 50 ბატალიონი, რომლებსაც ეხმარებიან არტილერია, ტანკები და პარაშუტისტთა რაზმები. სექტების რაზმებმა თავი შეაფარეს ტყეებს 150 კილომეტრზე საიგონის დასავლეთით.

საიგონიდან მოდის ცნობები, რომ მთავრობის ჯარებს დიდ ზარალს აყენებენ ხოა-ხაოს სექტის ჩასაფრებული რაზმები.

„ლიბერასიონი“ წერს, რომ საომარი მოქმედების შედეგად სამხრეთ ვიეტნამის სამოქალაქო მოსახლეობაში ათასობით მოკლული და დაჭრილია.

მდგომარეობა აღქირში

პარიზი, 6 ივნისი. (საკდესი). პრესის ცნობებით, უკანასკნელ დღეებში ორესის მთიანი მასივის რაიონსა და კაბილიაში მოხდა ალჟირელ პარტიზანთა რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება საფრანგეთის ჯართან და პოლიციასთან.

გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს წერს, რომ ალჟირში იგზავნებიან ალმოსავლეთ საფრანგეთში მყოფი მოტორიზებული ქვეითი ჯარის მე-2 დივიზიის ნაწილები და რომ მალე შეიარაღებული ძალების რაოდენობა ალჟირში 100 ათასს გადააჭარბებს.

გაზეთი „ფრან-ტირერის“ ცნობით, 3-დან 5 ივნისამდე კონსტანტინის დეპარტამენტში დაატყვევეს 250 ალჟირელი.

გაზეთი „ლიბერასიონი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი ჯარების თავმოყრას ალჟირში, რაც დაკავშირებულია საფრანგეთის მთავრობის კოლონიალური რეპრესიების პოლიტიკასთან, შეუძლია შედეგები იქონიოს საერთაშორისო მასშტაბით. იმ საბაბით, რომ საჭიროა შეიცვალოს ჯარის ის ნაწილები, რომლებიც საფრანგეთს ევროპიდან ჩრდილოეთ აფრიკაში გაეგზავნა, ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელებს სურთ მიაღწიონ იმას, რომ ფრანკისტული ესპანეთი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მიიღონ.

მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის ჟურნალისტთა ჯგუფი

6 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკდესის) მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის ჟურნალისტთა ჯგუფი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ლაკნაუს გაზეთ „ნეიშნლ ჰერალდის“ რედაქტორი მ. ჩალაპათჰი რაუ (დელეგაციის ხელმძღვანელი), გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ რედაქტორი გ. ვენკატასვამი კრუპანიდჰი, გაზეთ „სტეიტსმენის“ რედაქტორი პ. ნარაინ ბჰათია, გაზეთ „ჰინდუს“ თანამშრომელი კალამბაკამ რანგასვამი, ყოველკვირეულ „ბლიტცის“ რედაქტორი და მფლობელი რ. კხურსეჯი კარანჯია, გაზეთ „ფრი პრეს ჯორნელის“ თანამშრომელი ს. სვამინათჰანი, იუნაიტედ პრეს ოფ ინდიას სააგენტოს გენერალური დირექტორი გ. მოჰან დები, პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს დელის განყოფილების დირექტორი კ. სეშაგირი რამაჩანდრანი, ლიტერატურული ჟურნალის „მილპის“ გამომცემელი მ. ჯავერჩანდ მეგჰანი, გაზეთების „ჰინდუსტან სტანდარდის“ და „ანანდა ბაზარ პატრიკას“ თანამშრომელი ს. ნარაიან გხოში, გაზეთ „ტაიმს ოფ ინდიას“ თანამშრომელი გ. კესავარამ რედი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ინდოელ ჟურნალისტებს შეხვდნენ საბჭოთა პრესის წარმომადგენლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საკდესის პასუხისმგებელი მუშაკები.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მოადგილე ვ. გ. სელივერსტოვი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ინდოელ ჟურნალისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მ. ჩალაპათჰი რაუმ. მან მადლობა გადაიხადა თავაზიანი მიღებისათვის და იმისათვის, რომ დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა ჩამოსულიყო სსრ კავშირში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ინდოელი ჟურნალისტები ეწევიან მთელ რიგ ქალაქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის შრომითი საწარმოო კოოპერაციების ცენტრალური კავშირის დელეგაცია

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის მოწვევით 6 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შრომითი საწარმოო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ამ კავშირის თავმჯდომარე ვასილ რაიდოვსკი.

დელეგაცია გაეცნობა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის მუშაობას.

თბილისს ჩამოვიდა ნორვეგიის თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაცია

6 ივნისს თბილისს ჩამოვიდა ნორვეგიის თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს სახელმწიფო თეატრის დირექტორი ფ. ლიპე.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. კუპრავა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი დ. მჭედლიძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი პ. კანდელაკი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ი. გვინჩიძე, ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორი დ. ანთაძე და სხვები.

სტუმრები გაეცნობიან ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას. (საკდესი).

სპორტის ამბები

დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება კრივში

ბერლინი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ფინალური შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა ევროპის ჩემპიონები ათივე წონითს კატეგორიაში.

რინგზე პირველნი გამოვიდნენ საბჭოთა მოკრივე მჩატე წონაში ბ. სტეპანოვი და პოლონელი სპორტსმენი — ევროპის ჩემპიონი სტეფანიუკი. მსაჯებმა გამარჯვება სტეფანიუკს მიაკუთვნეს. მეორე წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენი ა. ზასუხინი (ქვემსუბუქი წონა) და ნიკოლსი (ინგლისი). შეხვედრა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და მას საგრძნობი უპირატესობა არ მიუცია არც ერთი მოწინააღმდეგისათვის. გამარჯვება ინგლისელ სპორტსმენს მიეკუთვნა. პირველ საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ კ. ჯანერიანი (სსრ კავშირი) და პეტშიკოვსკი (პოლონეთი). ევროპის ჩემპიონი გახდა პოლონელი მოკრივე, რომელმაც შეხვედრა ქულებით მოიგო. მეორე საშუალო წონაში გ. შატკოვი (სსრ კავშირი) შეხვდა შელინს (შვეიცარია). შატკოვმა დიდი უპირატესობით მოიგო ბრძოლა და მოიპოვა ევროპის 1955 წლის ჩემპიონის წოდება. საბჭოთა მძიმე წონის მოკრივე ა. შოციკასმა შეხვედრა მოუგო დასავლეთგერმანელ მოკრივეს იმავე წონითს კატეგორიაში ვიტერშტაინს და, ამრიგად, მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი.

გერმანელი პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობას, მათს ტექნიკას. მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა მსაჯის ტიმოშინის მსაჯობამ რინგზე.

გუშინ გვიან საღამოს მოხდა ჩემპიონატის ოფიციალური დახურვა და ევროპის 1955 წლის ჩემპიონებისათვის მედლების გადაცემა.

სსრ კავშირ-უნგრეთის საჭადრაკო მატჩი

ბუდაპეშტი, 7 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გათამაშდა სსრ კავშირ-უნგრეთის საჭადრაკო მატჩის უკანასკნელი — სამოს და მიეკნანის გადადებული პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, სსრ კავშირ-უნგრეთის მატჩის საბოლოო ანგარიშია 20:12 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

იმავე დღეს მოხდა პრიზების გადაცემა მატჩის საუკეთესო შედეგებისა და საუკეთესო პარტიებისათვის.

პრიზები საუკეთესო შედეგებისათვის მიიღეს: პირველი პრიზი — პეტროსიანმა, რომელსაც აქვს 5,5 ქულა 7 შესაძლებელში; მეორე პრიზი — კერესმა (5 ქულა შვიდში); მესამე — ბრონშტეინმა (4,5 ქულა შვიდში); მეოთხე — ილივიცკიმ (3 ქულა ექვსში).

პრიზები საუკეთესო პარტიისათვის მიიღეს: პირველი პრიზი — კერესმა პარტიაში სპასოთან, მეორე — ბრონშტეინმა პარტიაში ბილეკთან, მესამე — სპასმ პარტიაში ბრონშტეინთან, მეოთხე პრიზი მიიღო ბარცამ პარტიაში ილივიცკისთან.

ოსტატი ლ. აბრამოვი.

საბჭოთა და პოლონელი ფრენბურთელების შეხვედრა

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. გაიმარჯვა სსრ კავშირის გუნდმ. ანგარიშით 3:2. ამრიგად, საბჭოთა და პოლონელ ფრენბურთელთა 3 შეხვედრიდან სსრ კავშირის გუნდმა მოიგო 2 და წააგო 1.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მინსკი. 5 ივნისი. ამ დღეს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ფეხბურთში — მოსკოვის ცსკა მინსკში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

კუიბიშევი. 5 ივნისი. სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „სპარტაკი“ თამაშობდა „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ. კუიბიშეველმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება და მოიგეს მატჩი ანგარიშით 1:0.

„ბ“ კლასი

9 ტურის შემდეგ პირველ ზონაში წინ არიან კიშინიოვის „ბურევესტნიკი“ (14 ქულა) და მოსკოვის ქვანახშირის აუზის „შახტიორი“ (13 ქულა), მეორე ზონაში — სვერდლოვსკისა და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები (პირველს აქვს 15 ქულა, მეორეს — 14 ქულა).

ქუთაისი. სასტუმრო „ქუთაისის“ შენობის ხედი 1905 წლის რევოლუციის სახელობის ქუჩიდან.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

„ალგომი ახალგაზრდობისათვის“

ამას წინათ საქართველოს მუსიკალურმა ფონდმა გამოსცა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილის „ალბომი ახალგაზრდობისათვის“, რომელიც შედის 20 საფორტეპიანო პიესა. ალბომი დაწერილია გულწრფელად და ბავშვებისადმი დიდი სიყვარულის გრძნობით. ავტორს კარგად აქვს გათვალისწინებული ბავშვის ასაკის ტექნიკური შესაძლებლობანი.

ოსტატურად შესრულებულ პროგრამულ პიესებში კომპოზიტორი გადმოსცემს საბჭოთა ბავშვების ცხოვრების მრავალფეროვან სურათებს, თვითეულ პიესას განსაზღვრულს პედაგოგიური მიზანი და დანიშნულება აქვს. პიესების თითქმის ნახევარი პოლიფონიურია, რადგანაც ავტორი მიზნად ისახავს მოსწავლის თვითეული ხელის დამოუკიდებლად განვითარებას და უნერგავს მას პოლიფონიური მუსიკის შეგრძნების უნარს. ალბომში მოცემულია აგრეთვე ჰომოფონიური და ჰარმონიული წყობის პიესები. ძირითადად პიესებში შენარჩუნებულია ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელი ინტონაციები, რიტმი, კილო და ჰარმონიული მიმოქცევები.

ალბომი იწყება მხნე მარშით — „ლაშქრულით“, რომელიც გამოირჩევა მკვეთრი რიტმით. ამავე ხასიათისაა პიესა „პიონერული“. ფორტეპიანოზე მდერადობის გამომუშავებისადმი მიძღვნილია პიესები „ხალხური“ და „პატარა ბალადა“.

მოსწავლის ტექნიკური აპარატის განვითარებისათვის კრებულში შეტანილია სამი ეტიუდი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნორჩ შემსრულებლებს ყველა თითის ტექნიკის თანაბარ განვითარებაში. ყურადღებას იპყრობს პიესა „სკოლისაკენ“. ბავშვების დამახასიათებელი იუმორი გადმოცემულია „სახუმაროში“.

ალბომს აქვს ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, დასკვნითი კადენსური მიმოქცევები მთელ რიგ სხვადასხვა შინაარსის პიესებში ერთფეროვანია. მაგალითად, № 1, 11 პიესებში. პიესა № 4 „სომერი“ თემატურად მშრალი და მოდუნებულია, რის გამო მუსიკალური სახე მკვეთრად არ არის გამოვლინებული. სასურველი იყო ალბომს დართვოდა მეთოდური წერილი, მით უმეტეს, რომ კომპოზიტორ თ. შავერზაშვილის საფორტეპიანო პიესები შეტანილია საბჭოთა კავშირის მუსიკალური სკოლების პროგრამებში.

ჟ. ჯიქია.

„საქწიგნის“ ახალი მაღაზია

ბოლნისი. (ხაკ. კორ.). „საქწიგნმა“ რაიონის ცენტრში გახსნა წიგნის ახალი მაღაზია.

მაღაზია ლამაზად არის გაფორმებული. აქ დიდი რაოდენობით აყიდება მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, ფართო ასორტიმენტის საკანცელარიო ნივთები. რაიონში „საქწიგნის“ მაღაზიის გახსნა ხელს შეუწყობს ლიტერატურის გავრცელებას და წიგნზე ინდივიდუალურ ხელმოწერთა უკეთ მომსახურებას.

რედაქტორი ნ. ჯაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, რუსული ენა, ქართული ენა, ძველი ქართული ლიტერატურა, ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერება, კავკასიური ენები, „ჟურნალისტიკა, სკკპ ისტორია, საქართველოს ისტორია, მათემატიკა, თეორიული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, მათემატიკური ფიზიკა, ორგანული ქიმია.

გარდა ამისა, მიღება იწარმოებს დაუსწრებელ ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ორგანული ქიმია, კავკასიური ენები.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები ორმოცდა ექვსი წლის ასაკისა, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი აქვთ დამთავრებული არჩეულ სპეციალობაში. დაუსწრებელ ასპირანტურაში მისაღები პირის ასაკი შეზღუდული არ არის. საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის 3 წლის სტაჟი. ის პირები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრეს 1955 წელს, საკონკურსო გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

ასპირანტურაში შემსვლელი გამოცდებს აბარებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ საგანში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებაზე შემოტანილ უნდა იქნას რეკტორის სახელზე შემდეგი სამუთები: ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი (დანართით), კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დახასიათება მუშაობის ადგილიდან სტაჟის ჩვენებით, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების სამუთი, იმ პირთათვის, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი მიმდინარე წელს დაამთავრეს, უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში და ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება ა. წ. 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 15 სექტემბრამდე. ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.

3. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი იღებს სტუდენტებს სამშენებლო, ხიდებისა და გვირაბების, მექანიკური, საექსპლოატაციო და ელექტროტრანსპორტის ფაკულტეტების დღისა და საღამოს განყოფილებების პირველ კურსზე შემდეგ სპეციალობებზე: 1. რკინიგზის მშენებლობა (დღისა და საღამოს განყოფილება); 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (დღის განყოფილება); 3. ხიდები და გვირაბები (დღის განყოფილება); 4. რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა და წევის მეურნეობა (დღისა და საღამოს განყოფილება); 5. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა (დღის განყოფილება); 6. რკინიგზის ექსპლოატაცია (დღის განყოფილება); 7. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია (დღის განყოფილება);

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია (გარდა სამშენებლო სპეციალობაზე შემსვლელებისა), უცხო ენა — ზეპირი, რუსული ენა და ლიტერატურა — წერა.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) და თავისუფალი არიან გამოცდისაგან უცხო ენაში.

ინსტიტუტში შესასვლელად მისაღები გამოცდების ჩაბარება არა სპირდებათ: ა) საშუალო სკოლის დამთავრების დროს ოქროს ან ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულ პირებს;

ბ) იმ პირებს, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დამთავრეს წარჩინებით, შეტანილი არიან გამოშვების 5 პროცენტში და თავიანთი სპეციალობის მიხედვით შემოდიან სკოლის დამთავრებიდან ორი წლის განმავლობაში, სკოლის დამთავრებიან წლის ჩათვლით.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე.

ინსტიტუტის უფროსის სახელზე შემოტანილ განცხადებას უნდა დაერთოს: 1. სიმწიფის ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი); სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სანტიმეტრი (უქუდოდ); ავტობიოგრაფია; პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარმოადგენენ პირადად); ცნობა მუშაობის ადგილიდან თანამდებობის, მუშაობის სტაჟისა და სპეციალობის ჩვენებით (საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს.

ინსტიტუტის მისამართი: ქალაქი თბილისი, ლენინის ქუჩა 98, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის შემდეგ თანამდებობებზე:

კათედრის დოცენტი — 2½ (ქართულ სექტორზე), უფროსი მასწავლებელი 0,5 (რუსულ სექტორზე) განაკვეთზე.

კონკურსის ვადაა ათი დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დედა მარიამ, მეუღლე თამარ, შვილები დინა, სანა, მერაბ, დები ნადეჟდა, ნინო, ელენე, ძმები ვლადიმერ, გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან

პეტრე ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VI ქ. ფოთში, გამოსვენება პუ